## სპორტი მამათა საქმეა

ეროვნული ბიბლიოთეკა







**მხარს ვუჭერთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას**

# მოკ-ის საინიციატივო ჯგუფს

**ბალახის** ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაცია (თავმჯდომარე რ. რობაქიძე), რომელიც 1987 წლიდან ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისში, მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას. 4 აგვისტოს გაიმართა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც გადაწყდა, საქართველოს ეოკ-ის შექმნის მხარდამჭერი კრება ჩავატაროთ 25 აგვისტოს. ასევე ქუთაისის ბალახის ჰოკეისტთა გუნდის „ლოკომოტივის" წინადადებით მოეწყობა გუნდის საერთო კრება.

ორივე ეს კრება ჩატარდება ქუთაისში ქალაქის სპორტკომიტეტთან ერთად წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით.

რაც შეეხება რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციათა საერთაშორისო ფედერაციებში წარმოდგენის საკითხს (გაზეთი „ლელო" 27 ივლისი, 1989 წ.), გაცნობებთ, რომ — საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციამ ქუთაისის სპორტკომიტეტის თანადგომით მიაღწია და ხელშეკრულებები გააფორმა პოლონეთისა და უნგრეთის ფედერაციებთან. მიმდინარეობს მიმოწერა იუგოსლავიის ფედერაციასთან.

პოლონეთის ბალახის ჰოკეის ფედერაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 14 ივლისს პოზნანში მოეწყო პირველი საერთაშორისო შეხვედრა მასპინძელი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებსა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. ამ მატჩის სპონსორი საქართველოდან იყო კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საერთაშორისო ტურიზმის ბიურო „სპუტნიკი". პოლონეთის ფედერაცია 9 დეკემბერს მსოფლიო ფედერაციის ეგიდით აწყობს საერთაშორისო ტურნირს, რომელზეც საქართველოს ნაკრები ოფიციალურად არის მიწვეული. ძალიან სერიოზული პერსპექტივები ისახება კომერციული კონტრაქტების სახით უნგრეთისა და იუგოსლავიის ფედერაციებთან.

იმ მიზნით, რომ როგორც სპორტსახკომის რეკომენდაციებშია ნათქვამი, რესპუბლიკის სპორტული ფედერაციების ავტორიტეტი ამაღლდეს, სავარაუდო პერსპექტივის გათვალისწინებით აუცილებელია დღის წესრიგში დადგეს ფედერაციათა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკითხი. ასე მუშაობს ჭადრაკის საკავშირო ფედერაცია. ეს საშუალებას მოგვცემს დამოუკიდებლად გადავწყვიტოთ სამეურნეო საკითხები, რომელთა მოგვარებაც დღეს სპონსორების საშუალებით გვიხდება.

ქალაქის სპორტკომიტეტთან ერთად გადავწყვიტეთ მიმდინარე წლის ოქტომბერში ჩავატაროთ I საერთაშორისო ტურნირი ბალახის ჰოკეიში საქართველოს ფედერაციის თასზე.

საქართველოს ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე რ. რობაქიძე

ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ფრუიძე

ხელმწიფო ... „საქაგრომშენი" № 15 სამონტაჟო მშენი
Грузинской ССР
Государственный агропромышленный комитет
„Грузагрострой-монтажный трест № 15"
07 - 08 1989 წ.г.
№ 532
ინდექსი 380005 индекс
თბილისი, г. Тбилиси, ул.

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფს

რ/გ "საქაგრომშენის"
№ 15 ტრესტისაგან

რ/გ "საქაგრომშენის" № 15 ტრესტის - სახელმწიფო საწარმოს - ადმინისტრაცია და შრომითი კოლექტივის საბჭო თავის კოლექტივს ( 1800 კაცი) აცხადებს საქართველოს ეოკ -ის ერთ-ერთ დამფუძნებლად და აქტიურად ითანამშრომლებს ეროვნულ - სპორტულ ორგანიზაციასთან.

(შრომითი კოლექტივის საბჭოს 1989 წლის 31 ივლისის № 6 ოქმი ).

№ 15 ტრესტის მმართველი ი. ...ფიანი

შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე თ. ღვინეფაძე

**დღევანდელ ნომერში**

## პირველად...

პრჟევალსკი. პირველად საქართველოს ალპინიზმის ისტორიაში, რთულ მეტეოპირობებში განხორციელდა ასვლა მე-5 ბ კატეგორიის სირთულის ხანტენგრის პიკზე. მწვერვალს მიაღწია თორმეტმა მთამსვლელმა. ყველანი თავს კარგად გრძნობენ.

რომან ბიუტაშვილი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 აგვისტო, სამშაბათი, 1989 წ.
№ 157 (10 076) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მიეძღვნა ფიზკულტურელის დღეს

**„ლელოს" კორესპონდენტებმა გვაცნობეს**

**გორი.** ქალაქისა და რაიონის სპორტულ ბაზებზე დიდი სპორტული ზეიმით აღინიშნა ფიზკულტურელის დღე. მოეწყო ტურისტული ლაშქრობები ატენის ხეობაში და იკორთის მონასტრის შემოგარენში. გორის საჭიდაო დარბაზში და რაიონის ყველა სოფელში ჩატარდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში. სულ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ხუთიათასამდე ფიზკულტურელმა.

ამავე დღეს ქალაქის სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დილასა" და რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს გორელებმა — 3:2.

**ზუგდიდი.** ამ დღეს საზეიმოდ იყო მორთული ზუგდიდის რაიონის ყველა სპორტული ბაზა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ჩატარდა შეჯიბრებები მათთვის ხელმისაწვდომ სახეობებში — ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონში, ჭადრაკში, შაშში, ბაგირის გადაძალვაში, ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში, სირბილში, ველოსპორტში, ლელობურთში, ცხენოსნობაში. ამ ღონისძიებებში მონაწილეობდა 11 ათასამდე ადამიანი.

**ზესტაფონი.** ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ზეიმში მონაწილეობა მიიღო ქალაქის 500-ზე მეტმა სპორტის მოყვარულმა. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრნენ სპორტის 9 სახეობაში. სპორტული ზეიმი დააგვირგვინა ფეხბურთელთა მატჩმა.

**წალენჯიხა.** ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტურისტული ლაშქრობა, ცხენოსნობა — ასეთი იყო ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებათა პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის 200-მდე ფიზკულტურელმა.

**ვანი.** 900 ენთუზიასტმა მიიღო მონაწილეობა ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილ სპორტულ ღონისძიებებში. მათთვის მოეწყო შეჯიბრებები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში.

**ადიგენი.** ჩატარდა ადიგენისა და ყვარლის რაიონების ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. შემოსავალი გადაირიცხა 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ფონდში.

**წითელწყარო.** აქ რაიონის მშრომელებმა ისპარეზეს ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ლახტში, ბაგირის გადაძალვაში, ჭადრაკში და შაშში.

**საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილ ქართულშრიფტიან დეპეშებთან ერთად გუშინ მაიაკოვსკიდან ასეთი დეპეშაც მივიღეთ:**


МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ СССР
СРОЧНАЯ ТЕЛЕГРАММА
ПРИЕМ: 14/8
799
ПЕРЕДАЧА
Адрес:

МАИАКОВСКИ 504 45 14 1300=

САСЦРАФО К ТБИЛИСИ ЛЕНИНИС К НР 14 ЛЕЛОС РЕДАКЦИАС
ФИСКУЛТУРИС ДГЕС
ФИСКУТУРИС ДГЕСТАН ДАГ ДАКАВШИРЕБИТ
РАИОНШИ ЧАТАРДА СХВАДАСХВА САХИС МАСОБРИВИ СПОРТУЛИ
ГОНИСДЗИЕБЕБИ
СПОРТИС САХЕОБИС МИХЕДВИТ =

МУША МОСАМСАХУРЕТА ЕРТИА НАЦИЛИА
ГЕЗИ МАОРИС ГЗИСАКЕН АИГО АК ЧАТАРДА ШЕДЖИБЕРЕБА ТЕВЗЧЕРАШИ
ШАШСА ДА ЧАДРАКШИ БАГИРИС ГАДАЦЕВАШИ ДА СХВА = В ГАРУЧАВА-

**რას გვიპასუხებს კავშირგაბმულობის სამინისტრო, როდის დაიწყებენ მაიაკოვსკიდან ქართულშრიფტიანი დეპეშების გაგზავნას?**

**მოსკოვი.** ევროპის ჩემპიონატზე ლასტებით სწრაფცურვაში გაუმჯობესდა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი. 22 წლის მიხეილ იაკოვლევმა 400 მ აქვალანგითა და ლასტებით 2.57,27-ში გაცურა.

**ტელეტაიპი — მკითხველი**

**ლოს-ანჯელესი.** „ვირჯინია სლიმზის" სერიის ჩოგბურთელთა ტურნირის ფინალში გავიდნენ ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა და არგენტინელი გაბრიელა საბატინი. ნახევარფინალში ნავრატილოვამ ზინა ჰარისონს (აშშ) აჯობა 6:1, 6:4, საბატინიმ კი პემ შრაივერს 6:4 ,6:2.

**ტრედბო** (ავსტრალია). სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის გათამაშების მეორე ეტაპის შემდეგ 40 ქულით დაწინაურდა შარშანდელი სეზონის „აღმოჩენა", 22 წლის ნორვეგიელი ოლე კრისტიან ფურუსეტი, მეორე ადგილზეა დასავლეთგერმანელი არმინ ბიტნერი — 32, მესამეზე შვედი ლარს-ბიერ ერიკსონი — 25. შარშანდელი თასის მფლობელი ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი 23 ქულით მეხუთე ადგილზეა, შვეიცარიელი პირმინ ცურბრიგენი კი მეექვსეზე (19).

**ლაიფციგი.** ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის „დრუჟბას" პროგრამით მიმდინარე წყალში მხტომელთა ტურნირი მოსკოველმა ოლგა მირონენკომ მოიგო. კოშკიდა ხტომაში მან 423,57 ქულა დააგროვა. მოცურავეთა ასპარეზობაში ომსკელმა ანდრეი კორნეევმა პირველი ადგილები დაიკავა 200 მეტრზე ბრასის სტილითა და კომპლექსურ ცურვაში.

# „აია" — ნახევარფინალში

**ახლახან** გაიმართა რაგბიში საკავშირო თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრები. ქუთაისის „აიამ" უმასპინძლა თავის ძველთაძველ მეტოქეს — გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს, გაიმარჯვა — 14:9 და გავიდა ნახევარფინალში, სადაც დღეს კრასნოიარსკში ეთამაშება ადგილობრივ ეტს-ს, რომელმაც მეოთხედფინალში მოსკოვში სძლია იქაურ „ლოკომოტივს" — 19:10.

მეორე ნახევარფინალში, ხვალ, მოსკოვის „სლავა" უმასპინძლებს ტაშკენტის „ზვეზდას". მეოთხედ-

**რაგბი**

ფინალში „სლავამ" შინ მოუგო კიევის „ავიატორს" — 25:15 (დამატებით დროში; ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 12:12), „ზვეზდამ" კი ტაშკენტში სძლია მოსკოვის „ფილის" — 15:13.

თასის გათამაშების ფინალური მატჩი 15 ოქტომბერს გაიმართება მოსკოვში.

რატომ აყალბებენ?:

ესლა გვაკლდა...

# როგორ მიდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე და ოლიმპიადაზე „პროტექციით“ ქართველი ფალავნები... და სხვა უცნაური ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მას** შემდეგ რაც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე კრიტიკოს თამაზ წივწივაძის შესანიშნავი წერილი ვინმე ანატოლი შავკუტას „მოთხრობის“ შესახებ, მეგონა, რომ ქართველებზე დაწერილი ვერავითარი პასკვილი და ცილისწამება ვეღარ გამაკვირვებდა. მაგრამ აი, გადავშალე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ 6 აგვისტოს ნომერი, სადაც დაბეჭდილია ჟურნალისტ ვ. გოლუბევის სტატია ცნობილ მოჭიდავე იური შახმურადოვზე, და გავოგნდი...

**— „1969 წელს, — წერს ჟურნალისტი, — შახმურადოვმა მეხამედ მოიზომა ევროპის ხაუკეთესო მოჭიდავის ქამარი. იგი პირველი იყო ქვეყნის ჩემპიონატზე და, გასაგებია, იმედოვნებდა თავისი მიზნის განხორციელებას, მაგრამ მსოფლიო პირველობაზე არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში წავიდა... გურამ სალარაძე, ვერაფერს იტყვი, ახევე გამოჩენილი სპორტსმენი — ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი... მაგრამ მაინც ნაკრების დაკომპლექტებისას სამართლიანობა დაირღვა“.**

შემდეგ ახალი „ტრაგედიის“ თხრობას თვითონ „უიღბლო“ ი. შახმურადოვი განაგრძობს:

**— „1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ უკვე ხალიჩის პროფესორს მეძახდნენ (ხედავთ, რა გასაოცარი თავმდაბლობაა? — გ. ძ.) და მეგონა, რომ მიუნხენის ოლიმპიადაზე აუცილებლად მოვხვდებოდი. მაგრამ ელვისებურად ამობრწყინდა თედიაშვილის ვარსკვლავი. 1971 წელს, როცა მე წარუმატებლობები მდევდა თან, მან მოიგო მსოფლიოს პირველობა.**

**ოლიმპიადისთვის თავდაუზოგავად ვემზადებოდი და ქვეყნის პირველობაზე დავამტკიცე (მეხუთედ), რომ ჯერ არ მყავდა ბადალი, ხოლო ლევანი მეოთხე ადგილზე დარჩა.**

**მაგრამ რა? ვიღაცამ ჩემს მაგივრად გადაწყვიტა, რომ 30 წლის ი. შახმურადოვმა შეიძლება ვერ გაუძლოს ოლიმპიური ტურნირის დაძაბულობას და უკეთესი იქნება იქ ახალგაზრდა თედიაშვილის გაგზავნა. გვიან გავიგე, რომ, როგორც იმ წლებში იყო მიღებული და ახლაც ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, დაირეკა „მაღალი“ ზარი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან: „ნუთუ გუნდში არ იქნება წარმომადგენელი საქართველოდან, ჭიდაობის სახელოვანი ტრადიციების ქვეყნიდან?“.**

განა ვინმეს მოუბრუნდება ენა და იტყვის, რომ ლევან თედიაშვილმა ვინმეს რამე წაართვა დაუმსახურებლად?

მე თვითონ ვიყავი მოწმე, როგორ დაამარცხა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ახალგაზრდა თედიაშვილმა გამოცდილი შახმურადოვი. ამის შემდეგ ისინი ოფიციალურ ტურნირებში აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. ის, რომ მიუნხენის ოლიმპიადის წინ თედიაშვილი შახმურადოვს აშკარად სჯობდა, ჭიდაობაში ოდნავ მაინც ჩახედულ არც ერთ ადამიანში ეჭვს არ იწვევს.

ჭიდაობის სპეციალისტებმა მშვენივრად იციან, რომ მოჭიდავემ შეიძლება ოლიმპიური თამაშების ან მსოფლიოს პირველობის წელს მოიგოს ესა თუ ის შეჯიბრება, მაგრამ ნაკრების დაკომპლექტებისას ხშირად მთავარი ე. წ. საკვალიფიკაციო შეხვედრებია, სადაც ნათლად ჩანს, როგორ ფორმაშია ესა თუ ის კანდიდატი უშუალოდ დიდ ასპარეზობათა წინ. დასახელებულ სტატიაში, გასაგები მიზეზების გამო, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

ნეტავ მართლაც ასეთი მაგიური ძალა ჰქონოდა „მაღალ“ ზარს თბილისიდან, რამდენი უსამართლოდ დასჯილი ქართველი სპორტსმენი გახდებოდა დიდი ასპარეზობების მონაწილე.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ი. შახმურადოვის, როგორც სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელის „სამართლიანობა“ მოსკოვის ოლიმპიადის წინ.

საკავშირო პირველობაზე ლევან თედიაშვილის და ილია მატეს შეხვედრა ფრედ — 5:5 დამთავრდა. გვერდითი მსაჯები მესამე გაფრთხილებას აძლევდნენ მატეს, მაგრამ მთავარი მსაჯი არ დაეთანხმა...

ამის შემდეგ განა არ იმსახურებდა თედიაშვილი საკვალიფიკაციო ორთაბრძოლაში შეხვედროდა მატეს? მაგრამ გუნდის უფროს მწვრთნელს ეს ხელს არ აძლევდა. აი, როგორ გადაუხადა სამაგიერო შახმურადოვმა ჩვენს ფალავანს, რომელსაც ამის შესახებ დღემდე კრინტი არ დაუძრავს...

**ბოლოთქმის მაგიერ:** მადლობა ღმერთს, ლევან თედიაშვილი და გურამ სალარაძე კარგად გრძნობენ თავს და შეუძლიათ უპასუხონ ამ დაუმსახურებელ ცილისწამებას. იქნებ იმ ფაქტების მოწმე ჩვენმა მწვრთნელებმაც თქვან ორიოდე სიტყვა.

**გელა ძაგილაშვილი,**
**თბილისი.**

**რედაქციისგან:** ჩვენ „ლელოში“ მოვიწვიეთ სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ სალარაძე** და ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა ზემოაღნიშნული ფაქტებისათვის. აი ისიც:

— იური შახმურადოვის სიტყვები ჩემთვის ახალი არ არის, თავის დროზე მე მას საკადრისი პასუხი გავეცი ცილისწამებისთვის და ბოდიშიც მომიხადა სახალხოდ, მოჭიდავეთა თანდასწრებით.

შახმურადოვს ალბათ ჰგონია, რომ ძველ ამბავს დავიწყების მტვერი გადაეფარა და ახლა, ოცი წლის შემდეგ, ისევ ცდილობს ანგარიში გაგვისწოროს მეც და ლევან თედიაშვილსაც. მისი ასეთი დამოკიდებულება ჩვენი, ქართველი მოჭიდავეების მიმართ ბევრისთვის არის ცნობილი. რას გვამადლის შახმურადოვი?.. იგი ჯერ 74 კილოგრამ წონითს კატეგორიაში გამოდიოდა და, მახსოვს, როგორ წვალობდა, წონას ძლივს იკლებდა... პირველად მე ვთხოვე ქვეყნის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრ დიაკინს, 82 კილოგრამში გადმოიყანე, ჩემი შემცვლელი ხომ უნდა გავზარდოთ-მეთქი. გუნდის კაპიტანი ვიყავი და ჩემს სიტყვას ფასი ჰქონდა. დიაკინმა დამიჯერა და შემდეგ ყველა წარმატებას შახმურადოვმა ახალ წონაში მიაღწია.

საერთოდ, დიაკინისთანა სამართლიანი უფროსი მწვრთნელი და შესანიშნავი პედაგოგი მე არ მინახავს. ახლაც შეგიძლიათ ჰკითხოთ, როგორ იყო საქმე 1969 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის წინ, როცა იგი ქვეყნის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. მაშინ მე დიდხანს ვიყავი ავად. ვირუსული გრიპი მქონდა და ამის გამო მარ-დელ-პლატაში წასვლაზე პრეტენზიაც არ განმიცხადებია. დიაკინმა მე და შახმურადოვს საკონტროლო შეხვედრა მოგვიწყო, რომელიც ფრედ დამთავრდა. მხოლოდ ამის შემდეგ მომანიჭეს უპირატესობა მე, როგორც უფრო გამოცდილ და ტიტულიან მოჭიდავეს.

როცა „მაღალი“ ზარის ძალაზე ლაპარაკობს (რა საბუთით, საიდან გაიგონა და მოაქვს საუბრის ტექსტი), რატომ ავიწყდება შახმურადოვს, რომ ასეთი ზარი ყველაზე ხშირად სწორედ მისი უფროსი მწვრთნელობის დროს „გაისმოდა“ გუნდში, ოღონდ — არა თბილისიდან. პირადად მისი და საკავშირო სპორტკომიტეტის ჭიდაობების განყოფილების მაშინდელი უფროსის ბრალია, რომ ლევან თედიაშვილმა მონაწილეობა ვერ მიიღო მოსკოვის ოლიმპიადაში და, დაბეჯითებით გეტყვით, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის სახელი დაკარგა.

შარშან, როდესაც დავით გობეჯიშვილი და ასლან ხადარცევი სეულის ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოდნენ, შახმურადოვი ჯაუთავებლად აქებდა და ადიდებდა ხადარცევს, დათოზე კი ყველგან აუგს ამბობდა. როცა შევხვდი, ისევე უსუსურად და ფარისევლურად ეცადა თავის მართლებას, როგორც ადრე სჩვეოდა ხოლმე. იმ უსამართლობაში, რომელიც წლეულს მახაჩყალაში, ქვეყნის ჩემპიონატზე გამოიჩინეს ჩვენი ფალავნების მიმართ, სწორედ იური შახმურადოვის ხელი ურევია.

შახმურადოვზე ქართველ მოჭიდავეებს კიდევ ბევრი შეგვიძლია ვთქვათ და სათანადო ფაქტებითაც დავადასტუროთ, მაგრამ ღმერთმა შეუნდოს, ოღონდ ჩვენ ნუ გვედავება უსამართლოდ.

---

# ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა

ტურნირის ექო

**როგორც** მკითხველს მოეხსენება, მორაგბეთა საკავშირო ჩემპიონატში გამოცხადებული ხანგრძლივი შესვენების დროს მოსკოვში მოეწყო საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე. ტურნირს დაესწრო „ლელოს“ რაგბის მიმომხილველიც.

სამწუხაროდ, ეს შეჯიბრება თანდათან კარგავს ავტორიტეტს და მოვალეობის მოხდის მიზნით ჩატარებულ ღონისძიებას ემსგავსება. თავად განსაჯეთ: 16 წლის მანძილზე ტურნირმა სამი მეურვის გამოცვლა მოასწრო. ამ დროში საბჭოთა მაყურებელმაც მხოლოდ ოთხი ძლიერი სტუმარი თუ იხილა: ბრიტანელი „პინგვინები“ (1977 წელს, თბილისში), იაპონიის „ნიპონ სთილი“ (1981), აშშ-ის ეროვნული ნაკრები (შარშან) და უელსური გუნდი „ქროშეის XV“ (წელს). სამჯერ — 1979, 1980 და 1982 წლებში მოწვეულთა მეტი წილის ჩამოუსვლელობის მიუხედავად შეჯიბრებას საერთაშორისო სტატუსი რომ შერჩა, ამას საბჭოთა რაგბის „მამები“ პოლონეთის გუნდის მონაწილეობას უნდა უმადლოდნენ. წელს კი მოსკოვს აღარც პოლონელები ეწვივნენ: ორგანიზატორებმა შარშან მათ ამერიკის გუნდი ანაცვალეს; განაწყენებულმა პოლონელებმაც, რომლებიც წელს ფირა-ს ჩემპიონატის „ა“ ჯგუფს დაუბრუნდნენ და, როგორც ირბ-ის მოკავშირე წევრები, ოქტომბრის დამლევს მსოფლიო თასის მეორე გათამაშების შესარჩევ შეჯიბრებაშიც ჩაებმებიან, ეტყობა, საბჭოთა რაგბის ხელმძღვანელობას სამაგიერო პირის გატეხვით გადაუხადეს, რითაც სულ მთლად არიეს შეჯიბრების ისედაც უხეიროდ შედგენილი განრიგი.

მატჩები ტარდებოდა „კრასნი ბალტიეცის“, „ფილისა“ და „ნაუკას“ სტადიონებზე. მათგან მხოლოდ „ფილის“ სარაგბო სტადიონი თუ დაიმსახურებდა „კარგ“ შეფასებას. საერთო შთაბეჭდილება რაგბის ქართველ ქომაგს კი უთუოდ ისეთი დარჩებოდა, რომ მოსკოველი მორაგბეებისათვის ჩვეული უნდა იყოს ასპარეზობა ისეთ მოედნებზე, სადაც არც ბალახია რიგიანი, კარის ძელებიც დაღრეცილია. ე. წ. მსაჯი-ინფორმატორი მთელი თამაშის მანძილზე უაზრო კომენტარს ურთავს თამაშს, რითაც მაყურებლებსა და მოასპარეზეებს გულს უწყალებს, ლელოები კი მოასფალტებულია და ხშირად მძლეოსნურ სექტორსა და წყლის საწრეტი სისტემის შემომსაზღვრელ თხრილზეც კი გადადის. ეს კიდევ რაა: „ნაუკას“ სტადიონზე რაგბის კარის ძელები „მამაპაპურად“ (ერთ დროს ჩვენთანაც რომ სჩვეოდათ), მავთულით მიებათ ფეხბურთის კარისათვის, გაპარტახებულ და ქვიშამოყრილ, უსკამო ტრიბუნებზე კი არათუ რიგით მაყურებელს, 70 წელს მიტანებულ უელსელ საპატიო სტუმრებსაც კი სხამდნენ. ამ მხრივ ვერც სტუმრების ენერგიულმა პროტესტმა გაჭრა და ვერც ხვეწნა-მუდარამ: „ფილის“ სტადიონის დირექციამ მაინც მედიდურად განაცხადა უარი „ნაუკას“ სტადიონის ნაცვლად თავისთან გაემართა სსრკ — უელსის მატჩი. აქ, რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ახლა რაც შეეხება თავად თამაშებს. უცხოელებს, განსაკუთრებით კი უელსელებს, პირდაპირ თავზარი დასცა ორივე საბჭოთა გუნდის აგრესიულმა, ძალისმიერმა, დინამიურმა თამაშმა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე ნაკრებმა, რომელშიც უპირატესად ციმბირელი და ქართველი მორაგბეები გამოდიოდნენ, საერთო აზრით, პირველ ნაკრებზე უკეთ ითამაშა, თუმცა მასთან უშუალო შეხვედრაში კი დამარცხდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ („ა“) ნაკრებში მოსკოველმა მწვრთნელმა ედგარ ტატურიანმა მხოლოდ ორ ქართველს — ქუთაისელებს მამუკა ლოსაბერიძესა და ნუგზარ ძაგნიძეს უხმო. ტატურიანმა ლოსაბერიძე არ ათამაშა რუმინელების წინააღმდეგ, ძაგნიძემ კი იმავე რუმინელებთან ბრწყინვალედ ნათამაშევი მატჩის შემდეგ უელსელებთან შეხვედრის დასაწყისშივე, მე-5 წუთზე, ტრავმის გამო დატოვა მოედანი. მეორე („ბ“) ნაკრების შემადგენლობაში ასევე მოსკოველმა სპეციალისტმა ედუარდ კობოზევმა ექვსი ქართველი მიიწვია. მათგან თავდადებული თამაშით საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ქუთაისის „აიას“ სათადარიგო ჰუქერმა გელა ფირცხალავამ. თბილისის „ელმავლის“ ბურჯის ზაზა ბაკურაძის თამაშის მაღალი კლასი არავის გაჰკვირვებია. „ელმავლის“ მეორე ხაზის მორკინალს თამაზ ხუადეს ტურნირის დაწყებისათვის ფორმა დაკარგული ჰქონდა, მაგრამ პრაქტიკის მიღების კვალობაზე რიგიანად თამაშობდა. რაც შეეხებათ ჩვენს სხვა მოთამაშეებს — ქუთაისელ გუგა ბაბუნაშვილს, თბილისელებს — გია რაფავასა და პეტრე ჩაჩანიძეს, სხვადასხვა მიზეზის გამო მათ ფაქტიურად არ მისცემიათ მოედანზე თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

დასასრულ, სტუმრების შესახებაც. ერთ დროს ევროპული რაგბის ერთ-ერთმა ლიდერებმა — რუმინელებმა შეჯიბრებაზე მეორე („ბ“)



ნაკრები მოავლინეს. რაკილა ბოლო ხუთი წელია, მათი რაგბი დაღმავლობას განიცდის, რუმინელთაგან რაიმე განსაკუთრებულს არავინ ელოდა. მოლოდინი გამართლდა. სტუმრებმა ვერაფერი გააწყვეს საბჭოთა „ა“ ნაკრების მოთამაშეთა ღონესთან და შემართებასთან, მთელი თამაში ფაქტიურად უბურთოდ დარჩნენ და ძველ მეტოქესთან უიმედოდაც წააგეს. სამაგიეროდ, დაიბრიყვეს უელსელები, რომელთაც, ეტყობა, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მეტოქის ზნეზე; მოსკოველი მსაჯის ალექსანდრე ბერზინის გულჩვილობითა თუ უდარდელობით გულმოცემულმა რუმინელებმა ბრიტანელებს ექვსჯერ (!) აუტეხეს ქუჩური მუშტი-კრივი, კარგა გვარიანადაც სცემეს და რის ვაი-ვაგლახით მატჩიც მოუგეს.

შეჯიბრებაში ბრიტანელთა მონაწილეობას მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ ლონდონის ნაკრებმა წინასწარი თანხმობის მიუხედავად იუკადრისა მოსკოვში ჩამოსვლა, მისი შეცვლა კი არც შოტლანდიის უძლიერესი სარაგბო კუთხის — სამხრეთის ნაკრებმა ისურვა. ბოლოს, ინგლისურ ჟურნალ „რაგბი ველდ ენდ ფოუსთის“ რედაქტორის თანაშემწის ქრის თაუს მეცადინეობით უელსური გუნდი „ქროშეის XV“ დაყაბულდა ტურნირში მონაწილეობას, მგზავრობის ხარჯი კი ერთ-ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ იკისრა. სხვათა შორის, ეს კომპანია მიწისძვრით იავარქმნილ სომხეთში ელექტრომოწყობილობათა ქარხანას აშენებს და მორაგბეთა მეურვეობაც, უეჭველია, ქველმოქმედებად ჩაეთვლება. ასეა თუ ისე, საბჭოთა მაყურებელმა შეპირებული მძლეთამძლე ნაკრების ნაცვლად მაინც საკლუბო გუნდი იხილა, თუმცა კი — არაჩვეულებრივი.

საქმე ისაა, რომ „ქროშეის XV“-ს კლუბი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს. (სხვათა შორის, უცხოური გუნდების დასახელებაში „XV“ სწორედ 15-მოთამაშიან ნაკრებ გუნდს აღნიშნავს.) იგი „ბრიტანელ ბარბაროსთა“ წაბაძვით, საჩვენებელი მატჩების გასამართავად ჯერ კიდევ 1920-იან წლებში დაუარსებია იმ დროის გამოჩენილ უელსელ მორაგბეს, გვარად ქროშეის, და თავის წევრად ყოველ უელსელ მოთამაშეს თვლის. ახლაც, „ქროშეის XV“-ის მოსკოვურ შემადგენლობაში ოთხი მოთამაშე უელსის ეროვნული ნაკრებიდან იყო, შვიდი — „ბ“ ნაკრებიდან. მორაგბეებიც მხოლოდ მოწინავე უელსურ კლუბებს — „ჰლანეჰლის“, „ნისს“, „ბრიჯენდს“ და სხვებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად ამისა, უელსელებმა, რომლებსაც ეროვნული ნაკრების ალისფერი ფორმის ნაცვლად ტანთ შინდისფერი მაისურები ემოსათ, ტურნირის სამივე მატჩი წააგეს და ბოლო ადგილზე დარჩნენ. აქ გასაკვირი არაფერია: უელსში გასული სეზონი მაისის დამდეგს დამთავრდა, მომდევნო კი მხოლოდ ოქტომბერში დაიწყება. ამიტომ მოთამაშეები სრულიად უვარჯიშებელნი ჩამოვიდნენ მოსკოვს და, ცხადია, მთელი მატჩის მანძილზე წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ კარგად გაწვრთნილ მეტოქეს. არადა, როცა გაბრაზდებოდნენ და ნებისყოფას მოიკრებდნენ, უელსელები დიდებულად ათამაშდებოდნენ ხოლმე, მაგრამ არასაკმარისი მზადყოფნის გამო ამგვარად რუმინელებთან მხოლოდ ბოლო 15 წუთში ითამაშეს, საბჭოთა ნაკრებებთან კი — მატჩების საწყის 20-წუთიან მონაკვეთებში. მერე და მერე კი საბჭოთა მორაგბეთა უკეთეს ფიზიკურ მომზადებას თავისი გაჰქონდა.

**ტექნიკური შედეგები:**

სსრკ „ა“ — სსრკ „ბ“ 20:7 (10:7), რუმინეთი „ბ“ — „ქროშეის XV“ 18:11 (6:3); სსრკ „ბ“ — „ქროშეის XV“ 23:12 (10:6), სსრკ „ა“ — რუმინეთი „ბ“ 33:12 (10:9); სსრკ „ბ“ — რუმინეთი „ბ“ 16:11 (4:4), სსრკ „ა“—„ქროშეის XV“ 22:9 (7:3).

1. სსრკ „ა“ (6 ქულა); 2. სსრკ „ბ“ (4); 3. რუმინეთი „ბ“ (2); 4. „ქროშეის XV“ (0).

## I ლიგა

**ბუზიონ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXV ტურის მატჩები.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ტორპედოელები და ზაპოროჟიეს „მეტალურგი“. მატჩი დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 1:0.

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVII ტურის შეხვედრები: „დინამო“ (სოხუმი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 7:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 3:0, „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — ომც (თბილისი) 6:2, „შევარდენი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:4, „დინამო“ (მახაჩყალა) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 2:1, „ტერმისტი“ (ბაქო) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 3:4, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 0:0, „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) — „ყარაბაღი“ (ანდამი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ს. | 21 | 16 | 4 | 1 | 54-14 | 36 |
| „ტექსტილ.“ | 25 | 15 | 4 | 6 | 54-22 | 34 |
| „გოიაზანი“ | 24 | 14 | 2 | 8 | 39-29 | 30 |
| „კოლხეთი“ ფ. | 21 | 13 | 4 | 4 | 36-15 | 30 |
| „დილა“ | 23 | 12 | 5 | 6 | 44-34 | 29 |
| „ქიაფაზი“ | 25 | 11 | 6 | 8 | 40-30 | 28 |
| „ნარტი“ | 21 | 12 | 3 | 6 | 28-20 | 27 |
| „ლოკომ.“ ს. | 22 | 11 | 5 | 6 | 36-24 | 27 |
| „კოლხეთი“ ხ. | 23 | 10 | 6 | 7 | 31-27 | 26 |
| „ტორპედო“ | 23 | 11 | 2 | 10 | 36-19 | 24 |
| „ყარაბაღი“ | 24 | 9 | 6 | 9 | 23-36 | 24 |
| „ზვეზდა“ | 25 | 10 | 3 | 12 | 41-46 | 23 |
| „ხაზარი“ ს. | 23 | 9 | 5 | 9 | 39-35 | 23 |
| „დინამო“ მ. | 25 | 6 | 11 | 8 | 33-30 | 23 |
| „მეტალ.“ | 23 | 8 | 6 | 9 | 34-35 | 22 |
| „ატომმაში“ | 22 | 10 | 1 | 11 | 38-37 | 21 |
| „მერცხ.“ | 21 | 7 | 4 | 10 | 27-27 | 18 |
| „ლოკ.“ მინ. წყ. | 24 | 6 | 6 | 12 | 24-40 | 18 |
| „ტერმისტი“ | 25 | 5 | 4 | 16 | 17-44 | 14 |
| „ხაზარი“ ლ. | 22 | 6 | 1 | 15 | 15-44 | 13 |
| „შევარდ.“ | 24 | 4 | 5 | 15 | 19-42 | 13 |
| ომც. თბ. | 24 | 3 | 1 | 20 | 25-81 | 7 |

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

13 აგვისტოს ვილნიუსში ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ სსრ კავშირის 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩში მიიღო ხარკოვის „მეტალისტი“.

თამაში დამთავრდა ფრედ —1:1.

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**სსრ კავშირის** 52-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მცირე შესვენების პერიოდში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების ორი შეხვედრა.

**„მეტალისტი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0.** მატჩის 53-ე წუთზე „მეტალისტის“ ფეხბურთელმა გ. აჯოევმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი (ბურთი ძელს მოხვდა).

დუბლიორები — 0:3.

**„ტორპედო“ — „ჟალგირისი“ 0:1 (0:0).** გოლი: კვიტკაუსკასი. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ კვიტკაუსკასის მიერ გატანილი ბურთი არასწორად მიიჩნია თამაშგარე მდგომარეობის მოტივით, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის სპორტულ-საკლასიფიკაციო კომისიამ განიხილა ამ მომენტის ვიდეოჩანაწერი და დაადგინა, რომ გოლი კანონიერად იყო გატანილი.

გააფრთხილეს ტორპედოელი ი. სავიჩევი და ვილნიუსელი ფრიდრიკასი.

დუბლიორები — 0:0.

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის შეხვედრები: „არაგვი“ (დუშეთი) — „სულორი“ (ვანი) 2:2; „დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:4, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 1:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:2, „სქური“ (წალენჯიხა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:0, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 4:4.

# ლევ იაშინი — მეკარეთა მეკარე

**პოპულარობით** მწვანე მინდორზე მას ცოტა ვინმე თუ შეედრებოდა — პელე, მარადონა, ეუსებიო, ჩარლტონი, ბეკენბაუერი... უკანასკნელი სამი ამ ზეიმზე მისი პირადი სტუმარი იყო, სამივემ კიდევ ერთხელ მოგვანიჭა უდიდესი სიამოვნება ფეხბურთის გულშემატკივრებს...

ინტერვიუ 60 წლის იუბილართან — ლევ იაშინთან გვინდა დავიწყოთ შეკითხვით... ეუსებიოსადმი. საქმე ისაა, რომ კარგა ხანს გვაინტერესებდა ერთი „დეტალის გამოკვლევა“ და ასეთი ხელსაყრელი მომენტი ვინ იცის, კვლავ როდის დაგვიდგებოდა. მატჩის წინადღეს „დინამოს“ სპორტის სასახლეში თარჯიმანი გოგონას მეშვეობით შევეკითხეთ ლისაბონის „ბენფიკას“ ახლად დანიშნულ მწვრთნელსა და, როგორც თვითონ ამბობს, ამ გუნდის „პრეს-ატაშეს“ — „მაინც როგორ იწერება თქვენი გვარი — ეუსებიო თუ ეისებიო, როგორც ეს საკავშირო პრესაში გვხვდება?“

— „ეუსებიო!“ — იყო ლაკონიური პასუხი. საუბრის გაგრძელება ვეღარ მოვახერხეთ, რადგანაც სტუმარი იაშინისადმი მისალმებისათვის სცენისკენ იხმეს...

**გვესაუბრება ლევ იაშინი.**

● **მსოფლიოს ფეხბურთს ბევრი გამოჩენილი მეკარე ჰყავდა — ესპანელი რიკარდო ზამორა, ჩეხოსლოვაკიელი ფრანტიშეკ პლანიჩკა, ავსტრიელი რუდი ჰიდენი, ბრაზილიელი ჟილმარი, იტალიელი ჯანპიერო კომბი, დასავლეთგერმანელი ზეპ მაიერი, მექსიკელი ანტონიო კარბახალი, ინგლისელი გორდონ ბენქსი, თქვენი დღევანდელი სტუმარი—უნგრელი დიულა გროშიჩი... მაინც, ვის მიიჩნევთ მათგან უძლიერესად?**

— მუდამ მიჭირს ამ კითხვაზე პასუხი. საქმე ისაა, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ბრწყინვალე გოლკიპერია. ასევეა საბჭოთა ფეხბურთშიც. აბა გამოყავით რომელიმე ამ შესანიშნავი კოჰორტიდან — ალექსეი ხომიჩი, ანატოლი აკიმოვი, ვლადისლავ ჟმელკოვი, ალექსანდრ დოროხოვი, ნიკოლაი ტრუსევიჩი, ვლადიმერ ნიკანოროვი, ლეონიდ ივანოვი, ვალტერ სანაია...

● **ხსენებაზე: თქვენ სანაიასთან ერთად მოსკოვის „დინამოში“ თამაშობდით. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ქართველი მეკარე, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტად ლამაზად, რომ იტყვიან, „ტრიბუნებისათვის“ თამაშობდა...**

— არ ვიზიარებ ამ აზრს. საქმე ისაა, რომ სანაია, რომელიც ბრწყინვალედ იცავდა ჯერ თბილისის „დინამოს“, მერე ჩვენი გუნდის კარს, საერთოდ მოხდენილად თამაშობდა. ვალტერს ლამაზი ტან-ფეხი ჰქონდა, სახითაც მომხიბლავი იყო. მაყურებლები მხურვალე აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ მის ეფექტურ ნახტომებს. ამასთან, იგი საიმედო მეკარე გახლდათ, მცველები მუდამ მშვიდად იყვნენ, როდესაც ზურგსუკან სანაია ეგულებოდათ. გულდასაწყვეტი ის გახლავთ, რომ, ჩემი აზრით, მას კიდევ შეეძლო გამოსვლა დიდ ფეხბურთში.

● **თუ არ ვცდებით, პირველი მატჩი ძირითად შემადგენლობაში თქვენ სწორედ თბილისში, ჩვენი „დინამოს“ წინააღმდეგ, ჩაატარეთ 1950 წელს. მწვრთნელმა ვიქტორ დუბინინმა ტრავმირებული ხომიჩისა და სანაიას ნაცვლად გამოგიყვანათ?**

— დიახ, ასე იყო, თუმცა პატარა „კორექტივით“. პირველად მე ძირითად შემადგენლობაში ვითამაშე ცოტა ადრე — იმავე წლის 2 ივლისს მოსკოვში, „სპარტაკთან“ ...სულ 15 წუთი. ისე ვღელავდი, ადგილს ვერ ვპოულობდი მოედანზე. ფეხები ბამბასავით გამიხდა, ირგვლივ ბურუსი მეჩვენებოდა. ერთ-ერთ მომენტში კარიდან გამოვვარდი (თუმცა არ იყო ამის საჭიროება), დავეჯახე ჩვენს მცველს, ორივე დავვარდით და... სპარტაკელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ნიკოლაი პარშინმა ცარიელ კარში თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი. მეტოქემ ქულა აგვართვა.

● **შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მეკარეს განსაკუთრებით არ გწყალობდათ ბედი... თბილისის „დინამოსთან“.**

— ვგრძნობ, რომ თქვენს გუნდთან მოსკოვში იმავე სეზონში გამართული შეხვედრა გაქვთ მხედველობაში. დიახ, 4:1 ვიგებდით. ბურთი თამაშში შემყავდა, თქვენი მარცხენა გარემარბი ნიკოლოზ თოდრია კი არ მეშვებოდა. ბოლოს თითქოს გავექეცი, დავარტყი ძლიერად, მაგრამ გაგიგონიათ... ბურთი კაკოს (ასე ეძახდნენ მეგობრები თოდრიას) მოხვდა თავში და მსაჯმა შჩელჩკოვმა (მან მიიჩნია, რომ მე განზრახ უხეშად ვეთამაშე ფორვარდს) ჩვენს კარში პენალტი დანიშნა — 2:4. წონასწორობიდან გამოვედი და მალე კვლავ შევცდი კარიდან გამოსვლისას — 3:4. არ გასულა ორიოდე წუთი და თქვენმა ბრწყინვალე ბორის პაიჭაძემ დიდოსტატური დარტყმით გაქვითა ანგარიში — 4:4. მერე ჩვენებმა (მგონი ბესკოვმა) მაინც გაიტანეს გამარჯვების გოლი, მაგრამ იგი მე უკვე აღარ მინახავს — მწვრთნელებმა დაუყოვნებლივ შემცვალეს. ამის შემდეგ დიდხანს ვიყავი სათადარიგო შემადგენლობაში. იმ ჩემთვის ესოდენ უსიამო მატჩიდან კიდევ ერთი „დეტალი“ დამამახსოვრდა: გასახდელში ჩვენთან მოვიდა პაიჭაძე და შეეცადა დავემშვიდებინე. მე დღესაც მადლობელი ვარ მისი.

● **ვის თვლით თქვენს მწვრთნელად?**

— არკადი ჩერნიშოვს — ჰოკეის ბრწყინვალე სპეციალისტს, ფეხბურთის არანაკლებ დიდ მოამაგეს, ჩვენს შესანიშნავ მწვრთნელს მიხაილ იაკუშინს, აგრეთვე ხომიჩს და სანაიას. ეს ორი „რეაქტიული“ მეკარე (როგორც მათ ჟურნალისტები უწოდებდნენ) შეკრებაზე მუდამ ერთად ცხოვრობდა. იაკუშინმა ხომიჩს სთხოვა, ამიერიდან იაშინი შენს ოთახში იყოსო — დაე, ისუნთქოს „მეკარის



მატჩის მე-7 წუთი. ალექსანდრე ჩივაძის ამ უძლიერესი დარტყმის შემდეგ გაიხსნა ანგარიში.
სერგეი კოლგანოვის („ფუტბოლ-ხოკეი“) ფოტო სპეციალურად „ლელოსთვის“.

ჰაერით“, ნახოს მეკარის სიზმრები. „ფეხბურთის ვეფხვმა“ მართლაც ბევრი რამ მასწავლა. სადღაც წავიკითხე, რომ თუ ხომიჩი, დავუშვათ, ათჯერ გააკეთებდა რაიმე ვარჯიშს, მე თურმე მას ოცჯერ ვაკეთებდი, თუ იგი თექვსმეტკილოგრამიან გირს აწევდა, მე ოცდათორმეტით ვუპასუხებდი... ტყუილია: ხომიჩი ჩემზე ძლიერიც იყო და მოქნილიც. ისე კი, ვარჯიშისას მართლაც ვცდილობდი კარში უფრო მეტხანს დავრჩენილიყავი და მომეგერიებინა ბესკოვის, სოლოვიოვის, კარცევის, ტროფიმოვის, სავდუნინის დარტყმები.

● **მოსკოვის „დინამოს“ კარში, თქვენს ნაცვლად ერთხელ... ნახევარმცველი ევგენი ბაიკოვი დააყენეს. როგორ მოხდა ეს?**

— ეს იყო 1955 წელს, ფინალურ მატჩში ქვეყნის თასზე, ცდსა-სთან. მსაჯმა ნიკოლაი ლატიშევმა სრულიად სამართლიანად გამაძევა მოედნიდან უხეშობისათვის—მწვრთნელებმა კარში მინდვრის მოთამაშე ბაიკოვი დააყენეს.

● **ვიცით თქვენი კეთილი დამოკიდებულება ჟურნალისტებისადმი, თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, როდესაც „სოვეტსკი სპორტში“ 1953 წელს დაიბეჭდა მიხაილ სუშკოვის კრიტიკული სიტყვები თქვენი, იმხანად ახალგაზრდა მეკარის, მისამართით, თქვენ თურმე ტელეფონით დაურეკეთ მას ბინაზე, გულწრფელი მადლობა გადაუხადეთ შენიშვნისათვის და აღუთქვით, რომ უახლოეს მატჩშივე გამოასწორებდით ყოველივეს.**

— ალბათ, ასეც უნდა ხდებოდეს მუდამ, როდესაც საქმე ეხება ჩვენს საყვარელ ფეხბურთს. მაგრამ ერთხელ მაინც გამომიყვანა მოთმინებიდან ერთმა ჟურნალისტმა. ეს ჩილის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მოხდა ქალაქ არიკაში. მან ჩვენი გუნდის წარუმატებლობის მთავარ (და მგონი ერთადერთ) დამნაშავედ მე გამომიყვანა. მერწმუნეთ, სინამდვილეში ასე არ იყო, თუმცა მას შემდეგ მართლაც მრავალმა წყალმა ჩაიარა და, ალბათ, აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი.

● **რომელი ერთი გავიხსენოთ, ვის წინააღმდეგ აღარ გითამაშიათ: ხამრინი, ფონტენი, სკოგლუნდი, ალბერტი, გრივსი, კოპა, დი სტეფანო, ჰენტო, რივერა, მაცოლა, სუარესი, ზეელერი, ბუცეკი, პაიჭაძე, ლოლობერიძე, მესხი, მეტრეველი, სტრელცოვი, ივანოვი, სალნიკოვი, სიმონიანი, ტატუშინი...**

— შეგიძლიათ არ გააგრძელოთ. გამოყოფით მაინც ვერავის გამოვყოფ. ყველა ტყავის ბურთის ნამდვილი დიდოსტატი იყო, თავისი განუმეორებელი ხელწერა ჰქონდა.

● **თბილისელი გულშემატკივრები ერთ დროს ხუმრობდნენ, როდესაც იაშინს ჰკითხეს, თუ რომელი თავდამსხმელისა ეშინია ყველაზე მეტადო, ასე უპასუხა: თბილისელი ბორის ხასაიასი. საქმე ის არის, რომ მე კი არა, თვითონაც არ იცის, საით დაარტყამსო...**

— მართალი გითხრათ, ეს ხუმრობა არ გამიგონია, ისე კი ბორია ხასაია, რომელიც ასე ადრე წავიდა ცხოვრებიდან, საკმაოდ ნიჭიერი, სახიფათო თავდამსხმელი იყო. თუმცა რა, განა ასეთნი არ იყვნენ თქვენი დანარჩენი ფეხბურთელებიც. მათ წინააღმდეგ მე მუდამ მსიამოვნებდა თამაში, თუნდაც იმიტომ, რომ ნატამალ უხეშობას ვერ შეამჩნევდით.

● **საკმაოდ ბევრი დასამახსოვრებელი მატჩი გითამაშიათ, მაგრამ ყველაზე მაღალი რანგის ალბათ, ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, 1963 წლის 23 ოქტომბერს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე ფიფა-სა და ინგლისის ნაკრებებს შორის გამართული შეხვედრა იყო. სხვათა შორის, ეს მატჩი... იმითაც დაგვამახსოვრდა, რომ ცნობილი ტელერადიოკომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი, როდესაც ბურთს შესანიშნავი ოსტატი ფერენც პუშკაში მიიღებდა, მისი გვარის ნაცვლად ჩვეულებრივ ასე ამბობდა: „მიაჩ უ სბორნოი მირა“ ან „ატაკუეტ სბორნაია ფიფა!“**

— ვიცი, რომ ასე იყო. თამაში მთლიანად გადაღებულია ტელეფირზე და ამასწინათაც ვუყურე მას. უნგრეთის ნაკრებისა და ბუდაპეშტის „ჰონვედის“ კაპიტანი პუშკაში ტყავის ბურთის ნამდვილი დიდოსტატი იყო — მაღალი ტექნიკა, შესანიშნავი დარტყმა ჰქონდა. მართალია, ერთ პერიოდში იგი იძულებული იყო უნგრეთიდან ესპანეთში გადასახლებულიყო, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ სამშობლოს და თავის ხალხს უღალატა. ახლახან მწუხარებით შევიტყვე, რომ ფერენც პუშკაში გარდაცვლილა.

● **ეგებ დაწვრილებით მოგვიყვეთ, როგორ ვერ გაგიტანეს 11-მეტრიანები ავსტრიელმა ჰანს ბუცეკმა და იტალიელმა სანდრინო მაცოლამ?**

— ალბათ, ეს უფრო ბედის ამბავია, პენალტი ხომ, როგორც იტყვიან, 99-პროცენტიანი გოლია. 1958 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრიელები აგებდნენ ჩვენთან 0:1. ამ დროს ჩვენმა მცველმა საჯარიმოში წააქცია კერნერი. „პენალტების მეფე“ ბუცეკი (მან იმ სეზონში მშობლიურ „ვიენას“ კლუბში 12-დან 12 პენალტი გაიტანა) დასარტყმელად მოემზადა. მე დავიხარე და რაღაცა ქინძი ავიღე, მოვისროლე კარს უკან. ეტყობა, ბუცეკი ძალზე აღელდა, გაბრაზებულმა ძლიერად დაარტყა. მე კუთხე გამოვიცანი და დაახლოებით ორი მეტრის სიშორეზე ჩემგან ავილე ბურთი. ეს იყო და ეს. ამბობენ, ამის შემდეგ ბუცეკს აღარ ანდობდნენ თერთმეტმეტრიანების დარტყმასო. მაცოლას პენალტის აღებაც მე ასევე ბედის წყალობად უფრო მიმაჩნია.

● **რით აიხსნება ის ამბავი, რომ მიხაილ იაკუშინი თქვენს საიუბილეო მატჩზე „დინამოს“ ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე უეცრად გავრილ კაჩალინმა შეცვალა? „იზვესტია“ წერდა, რომ იაკუშინი აგვისტოს პირველ ნახევარში არ იქნებაო მოსკოვში.**

— საქმე ის გახლავთ, რომ „მიხეის“ სწორედ ამ დღეებში მისცეს ვიზა შვეციაში გასამგზავრებლად. იქ, როგორც ცნობილია, მუშაობს მისი ვაჟი მიხაილი, კონიუნქტურის ინსტიტუტის თანამშრომელი.

● **და კიდევ: რატომ არ ჩატარდა თქვენი ეს მატჩები ლუჟნიკის სტადიონზე — იგი ხომ ორჯერ მეტს იტევს „დინამოზე“.**

— საქმე სუფთა კომერციაშია. დინამოელები ამ ზეიმის ერთ-ერთი ორგანიზატორები იყვნენ, დიდი ხარჯი გაიღეს და, ბუნებრივია, მისი ანაზღაურება საკუთარ სტადიონზე გაყიდული ბილეთების შემოსავლით სურდათ.

● **სასიქადულო მომღერალი, დიდი აკადემიური თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა ლევ იაშინზე ერთდროულად „ნაწყენიც“ არის და ამასთან, დიდად მადლობელიც. სწორედ 9 აგვისტოს შევხვდით მას „დინამოს“ სპორტის სასახლეში: „იაშინმა ისე მომხიბლაო თავისი ნახტომებით, რომ მთლად დამავიწყა თამაში. ჩვენმა მწვრთნელმა ანდრო ჟორდანიამ შესვენებისას მკაცრად გამაფრთხილა კიდეც, თუ თამაშობ — ითამაშე! ჰოდა, მეც ვიფიქრე, თუ თამაშობ, იაშინივით უნდა ითამაშო-მეთქი. ამიტომაც გადავწყვიტე მიმეტოვებინა დიდი ფეხბურთი და... დიდ თეატრში მოვხვდი!“**

— იხუმრა, ცხადია. ჩემს მეგობარს ზურაბ სოტკილავას მართლაც საუცხოო ხმა აქვს და, ეჭვი არავის ეპარებოდა, ჭეშმარიტი ტალანტი ადრე თუ გვიან მაინც იპოვნიდა თავის გზას. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ზურაბმა უარი არ მითხრა და ჩემს საღამოზე კვლავ მოაჯადოვა მასზე უსაზღვროდ შეყვარებული მსმენელი. მის ფეხბურთელობაზე კი ქართველები ნუ დარდობთ, თქვენ ისედაც უამრავი ჯადოქარი გყავდათ „დინამოში“.

● **ბევრი მათგანი სტუმრად გეწვიათ ამ საიუბილეო მატჩებზე — მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ვლადიმერ ბარქაია, გურამ პეტრიაშვილი, კახი ასათიანი, დავით ყიფიანი, გელა კეტაშვილი, სოსო ჭედია, კახა ცხადაძე და ცხადია, თქვენი კოლეგები სერგო კოტრიკაძე და ოთარ გაბელია.**

— ყველა მათგანის დიდი მადლობელი ვარ. ვეცდები, მეც გეწვიოთ საქართველოში, თუკი თავის დროზე ასეთ საფეხბურთო ზეიმებს მოაწყობთ. ალბათ, გაისად თქვენი „კაპიტანთა კაპიტნის“ — ბორის პაიჭაძის 75-წლის იუბილეზე მომიწევს ჩამოსვლა თბილისში, ცხადია, თუ იგი არ დაივიწყებს ძველ მეგობარს, რომელიც მუდამ ამაყობს, რომ თვით ბორია პაიჭაძის წინააღმდეგ უთამაშია.

● **ალბათ ამ გამოცდილებას, ისევე როგორც ოლეგ ბლოხინის ბენეფისისას, ჩვენთანაც გამოიყენებენ. ძალიან გულთბილი საღამოები იყო კიევშიც და მოსკოვშიც. გულშემატკივრებმა მრავალი სუვენირი შევიძინეთ თქვენი გამოსახულებით — პროგრამა, ბუკლეტები, ვიმპელები, სამკერდე ნიშნები, პლაკატები, აი ცოტა მაისურის შეძენა გაგვიჭირდა. გამოგიტყდებით, გურამ პეტრიაშვილი რომ არა, „ლელოს“ კორესპონდენტი თბილისში იაშინის მაისურის გარეშე დაბრუნდებოდა.**

**მადლობთ საუბრისათვის.**

— მეც მადლობელი ვარ. გულწრფელი მოკითხვა ყველა ქართველ გულშემატკივარს და თქვენი გაზეთის მკითხველს.

ესაუბრა **ოთარ ნოზაძე,**
„ლელოს“ სპეც. კორ.

მოსკოვი.

# პირველი სტარტები

**ბონი.** დაიწყო ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში, წყალში ხტომასა და ცურვაში.

წყალბურთელთა ტურნირში საბჭოთა ნაკრებმა სტარტი წარმატებით აიღო, დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი — 9:6 (2:3, 2:1, 1:2, 4:0). ამავე ჯგუფში მოასპარეზე ბულგარეთმა აჯობა ავსტრიას — 10:5. სხვა ჯგუფების შეხვედრებიდან აღსანიშნავია ესპანელთა გამარჯვება გფრ-სთან — 14:12 და იუგოსლაველთა — რუმინეთის ნაკრებთან 13:9. პირველი შეხვედრები მოიგეს, აგრეთვე, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის წყალბურთელებმა.

ჩატარდა კოშკიდან მხტომელ ქალთა საკვალიფიკაციო შეჯიბრება. სტარტზე გამოვიდა 13 სპორტსმენი, აქედან ფინალში ვერ მოხვდა მხოლოდ ფრანგი ელიზაბეტ ლემლი. ბრძოლას აგრძელებს 12 სპორტსმენი, მათ შორის სვეტლანა ალექსეევა (II ადგილი) და ინგა აფონინა (III ადგილი). საკვალიფიკაციო ხტომებში უძლიერესი იყო დასავლეთგერმანელი მონიკა კიუნი. ფინალში ბრძოლა ხელახლა დაიწყება.

# კარის ზედა ძელს გადაახტა...

**რამდენი** სანტიმეტრით შეიძლება გადააჭარბოს ადამიანმა საკუთარ სიმაღლეს? ასეთი რეკორდების რეგისტრაცია ოფიციალურად მძლეოსნობაში, რა თქმა უნდა, არ ხდება, მაგრამ სტატისტიკის მოყვარულებს გამოთვლილი აქვთ, რომ პირველობა ამ „დარგში“ შეიძლება მიეკუთვნოს ამერიკელ ფრანკლინ ჯეკობსს. ამ 173 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე ათლეტს 232 სანტიმეტრზე გადებული თამასა აქვს დაძლეული. გამოდის რომ ჯეკობსმა საკუთარ სიმაღლეს 59 სანტიმეტრით გადააჭარბა.

ამ მხრივ ამერიკელ მძლეოსანს მთელი 11 სანტიმეტრით ჩამორჩება მსოფლიოს რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში კუბელი ხავიერ სოტომაიორი. როგორც ცნობილია ფენომენალურმა მძლეოსანმა, ამას წინათ, პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანში გამართულ ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების თამაშებზე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 244 სანტიმეტრი. 21 წლის მძლეოსანი უცხოეთის სააგენტოების მიმომხილველთა განცხადებით პირველი ადამიანია მსოფლიოში, რომელიც საფეხბურთო კარის ზედა ძელს გადაახტა (კარის სტანდარტული სიმაღლე ფეხბურთის მოედნებზე ზუსტად 244 სანტიმეტრია).

აი, ფრანკლინ ჯეკობსის „რეკორდის“ მოხსნა კი სოტომაიორმა ვერ შეძლო და ალბათ ამ მიღწევას ვერავინ გააუმჯობესებს. 196 სანტიმეტრის სიმაღლის ხავიერმა ჯეკობსის შედეგი ერთი სანტიმეტრითაც რომ გააუმჯობესოს 256 სანტიმეტრი უნდა დასძლიოს, რაც ჩვენს საუკუნეში ალბათ, არ მოხდება.

მაგრამ თავი დავანებოთ ამ სოფისტურ შედარებებს და სოტომაიორის მართლაც დაუჯერებელი სარეკორდო ნახტომი გავიხსენოთ. კუბელმა მძლეოსანმა იმ დღეს ყველა წინასწარი ცდა (240 სანტიმეტრის ჩათვლით) პირველივე ნახტომით დასძლია. შეგახსენებთ ერთ საინტერესო ფაქტსაც — 240 სანტიმეტრი მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში მხოლოდ სამ სპორტსმენს აქვს დაძლეული.

იყო დრო, როცა მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ამ სახეობაში ამერიკელი დუაიტ სტოუნზი ამტკიცებდა, რომ 244-245 სანტიმეტრზე გადახტება მხოლოდ ის მძლეოსანი, რომლის საკუთარი სიმაღლე 2 მეტრზე მეტი იქნებაო. სტოუნზი შეცდა და ეს შეცდომა საჯაროდ აღიარა: — მე თავს ვხრი ამ შეუდარებელი მხტომელის წინაშე და ჩემს აღტაცებას ხმამაღლა გამოვხატავო.

ლიმონარის პროვინციის ფიზკულტურის ინსტიტუტის 21 წლის სტუდენტი ყოველმხრივ სამაგალითო სპორტსმენია. მან ამას წინათ გამართულ ინტერვიუში განაცხადა: „მონაწილეობას მივიღებ ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მიმიწვევენ და საპრიზო პრემიას კუბის სპორტის საჭიროებებს შევწირავ.“

ამ დღეებში მსოფლიო რეკორდსმენს კოლუმბიაში ამერიკის თასის გათამაშებაში უნდა ეასპარეზა. რა მოხდა იქ, ჯერ არ ვიცით. 25 აგვისტოს სოტომაიორი ევროპაში ჩამოფრინდება და უნივერსიადაში მოსინჯავს ძალას. მერე იგი ბარსელონაში გაემგზავრება, სადაც მსოფლიოს თასი უნდა გათამაშდეს. სოტომაიორისაგან მძლეოსნობის მოყვარულები ყოველ შეჯიბრებაში რეკორდს ელიან, მაგრამ რეკორდები ციდან ასე ადვილად, როგორც ცნობილია, არ ცვივა...

# დაკარგული [illegible]

**უკვე** მეოთხე წელია, რაც „ფორმულა 1“ ავტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ეტაპი უნგრეთის „ჰუნგარორინგზე“ ტარდება.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი რბოლა ყველაზე უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა. საკვალიფიკაციო რბოლებში საუკეთესო დრო და პირველი პოზიციიდან სტარტის უფლება მიიღო იტალიელმა რიკარდო პატრეზემ („უილიამს-რენო“). ყველაზე უფრო მოულოდნელი, ალბათ, ალექს კაფის (იტალია, „დალარა-ფორდი“), რომელიც წლევანდელ გათამაშებაში 11-15 ადგილებს იყოფს, მესამე შედეგი იყო.

რაც შეეხება თავად რბოლას, რიკარდო პატრეზე სტარტიდანვე დაწინაურდა და ძალზე დიდხანს ლიდერობდა. მას უკან მიჰყვებოდნენ აირტონ სენა, ალექს კაფი, გერჰარდ ბერგერი, ალენ პროსტი. ლიდერთა ექვსეულს თანდათან ჩამო-



რჩა კაფი, სამაგიეროდ ყოველი წრის გავლისას აუმჯობესებდა თავის შედეგს ინგლისელი ნაიჯელ მენსელი. 35 წრის შემდეგ ლიდერთა ოთხეული ასე გამოიყურებოდა: პატრეზე, სენა, პროსტი, მენსელი. კიდევ რამდენიმე წრის შემდეგ მენსელმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა. 52-ე წრეზე სიჩქარეს უკლო პატრეზემ და მალე საერთოდ შეწყვიტა რბოლა მანქანის უწესივრობის გამო. ლიდერობა ხელთ იგდო აირტონ სენამ, მეორე პოზიციაზე მენსელი იყო, შემდგომ ადგილებზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პროსტი, ბერგერი, ბუტსენი.

ყველაზე დრამატული აღმოჩნდა რბოლის დასკვნითი ნაწილი. სწორედ მაშინ, როდესაც ეჭვს თითქმის არ იწვევდა სენას მორიგი გამარჯვება, გადაწყდა უნგრეთის „გრან-პრის“ ბედი. ლიდერები ერთი წრით ჩამორჩენილ მეტოქეს წამოეწიენ და საკმარისი აღმოჩნდა სენას ოდნავ დაემუხრუჭებინა, რომ ამ დაკარგული წამით ბრწყინვალედ ისარგებლა მენსელმა, გაუსწრო მეტოქეს და რიგით მეთხუთმეტე გამარჯვება მოიპოვა.

საბოლოოდ რბოლა ასე დამთავრდა: 1. ნაიჯელ მენსელი — 9 ქულა; 2. აირტონ სენა — 6; 3. ტიერი ბუტსენი — 4; 4. ალენ პროსტი — 3; 5. ედი ჩივერი — 2; 6. ნელსონ პიკე —1.

საერთო ჩათვლაში 56 ქულით კვლავ ალენ პროსტი ლიდერობს. აირტონ სენა 42 ქულით მეორე ადგილზეა.

(საქ. ინფ.)

# კიევის საერთაშორისო

**უკრაინის** დედაქალაქში გაიმართა ცნობილი საფეხბურთო კლუბების საერთაშორისო ტურნირი. კიევის „დინამოს“ გარდა მასში მონაწილეობა მიიღეს იტალიის „რომამ“, ბრაზილიის „ფლუმინენსემ“ და „ბანგუმ“.

სასტარტო მატჩში „ფლუმინენსესა“ და „რომას“ შორის ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ფლუმინენსემ“ „ბანგუსთან“ კიეველთა მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა — 4:3.

კიეველი და რომაელი ფეხბურთელები მესამე ადგილისთვის იბრძვიან, ხოლო მთავარ ფინალში გავიდნენ ბრაზილიის გუნდები „ბანგუ“ და „ფლუმინენსე“.

## მსოფლიო ჩემპიონატი

**მსოფლიოს** 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში აზიის ზონიდან უნდა გავიდეს ორი გუნდი. 12-29 ოქტომბერს სინგაპურში გაიმართება ზონის ექვსი გამარჯვებული გუნდის ტურნირი. ფე ფა-ძ მოაწყო წილისყრა, პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან არაბეთის გაერთიანებული ემირატები — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთი — საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა — კატარი.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### საფრანგეთი

**მე-3 და მე-4 ტურები.** „სენტ ეტიენი“ — „ბრესტი“ 2:0, „ნანტი“ — „ლიონი“ 2:1, „ტულუზა“ — „მარსელი“ 2:1, „ნიცა“ — „მულუზი“ 2:0, „მეცი“ — „ოსერი“ 2:1, „მონპელიე“ — „ბორდო“ 1:2, „რესინგი“ — „კანი“ 3:2, „სოშო“ — „სენ-ჟერმენი“ 1:0, „ლილი“ — „მონაკო“ 1:1, „ტულონი“ — „კაენი“ 2:0, „ლიონი“ — „ნიცა“ 2:0, „ნანტი“ — „რესინგი“— 5:1, „ბრესტი“ — „კაენი“ 2:1, „მონაკო“ — „სენტ ეტიენი“ 0:0, „კანი“ — „ლილი“ 3:0, „ბორდო“ — „სოშო“ 1:0, „სენ-ჟერმენი“— „მონპელიე“ 2:1, „მულუზი“ — „ტულონი“ 4:0, „ოსერი“ — „ტულუზა“ 2:2, „მარსელი“ — „მეცი“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო“ | 4 | 7—1 | 7 |
| „მარსელი“ | 4 | 8—4 | 6 |
| „ტულუზა“ | 4 | 7—6 | 5 |

### გფრ

**მე-2 ტური.** „კარლსრუე“ — „იურდინგენი“ 0:0, „ჰამბურგი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 2:2, „მიონხენგლადბახი“ — „ბაიერნი“ 0:0, „ნიურნბერგი“ — „ლევერკუზენი“ 2:2, „ვერდერი“ — „ფორტუნა“ 2:2, „მანჰეიმი“ — „ბოხუმი“ 3:2, „დორტმუნდი“ — „სენტ პაული“ 3:1, „ჰამბურგი“ — „ფრანკფურტი“ 1:1.

### შვეიცარია

**მე-3 ტური.** „ბელინცონა“ — „იანგ ბოისი“ 2:1, „გრასჰოპერსი“ — „სერვეტი“ 1:1, „ლოზანა“ — „ლუცერნი“ 1:1, „ქსამაქსი“ — „ლუგანო“ 4:2, „სენტ გალენი“ — „არაუ“ 0:0, „ვეტინგენი“ — „სიონი“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ქსამაქსი“ | 3 | 10—5 | 6 |
| „გრასჰოპერსი“ | 3 | 4—2 | 5 |
| „ბელინცონა“ | 3 | 6—5 | 4 |

### იუგოსლავია

**1 ტური.** „რადნიჩკი“ (ნიში) — „ველეჟი“ 3:0, „ბანია ლუკა“ — „პარტიზანი“ 1:2, „რიეკა“ — „ჰაიდუკი“ 1:0, „სარაევო“ — „ჟელეზნიჩარი“ 1:3, „რადნიჩკი“ (ბელგრადი) — „ვარდარი“ 2:0, „ლიუბლიანა“ — „ვოივოდინა“ 2:0, „ცრვენა ზვეზდა“ — „ტუზლა“ 6:1, „დინამო“ (ზაგრები) — „სუბოტიცა“ 1:0.

### პოლონეთი

**მე-2 ტური.** „ვროცლავი“ — „ლოძი“ 1:2, „კატოვიცე“ — „ლიუბლინი“ 2:0, „ვიძევი“ — „ხოჟუვი“ 0:3, „ზაბჟე“ — „ლეგია“ 1:1, „მელეცი“ — „ლუბინი“ 1:2, „ლეხი“ — „ოლიმპია“ 1:1, „კრაკოვი“ — „სოსნოვეცი“ 1:2, „ბიალისტოკი“ — „ბიდგოშჩი“ 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ხოჟუვი“ | 2 | 5—0 | 4 |
| „ლუბინი“ | 2 | 4—1 | 4 |
| „ლკს ლოძი“ | 2 | 4—2 | 4 |

### ავსტრია

**მე-3 ტური.** „შტეირი“ — „ვიენა“ 2:2, „სენტ პოლტენი“ — „ადმირა“ 1:2, „რაპიდი“ — „ტიროლი“ 0:2, „ზალცბურგი“ — „ავსტრია“ 2:2, „შტურმი“ — „გრაცერი“ 0:1, „ვინერ სკ“ — „კრემსერი“ 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ავსტრია“ | 3 | 6—2 | 5 |
| „გრაცერი“ | 3 | 3—0 | 5 |
| „ტიროლი“ | 3 | 6—4 | 4 |

(საქ. კორ.)

# მთავარი ტურნირი — ბოლო სწორზე

**შვეციის** ქალაქ შელეფტეოში დაიწყო წლის მთავარი შეჯიბრება ჭადრაკში — მსოფლიო თასის I გათამაშების უკანასკნელი, VI ეტაპი დიდოსტატ ვაჟთა შორის. როგორც იცით, ამ ტურნირთანაა დაკავშირებული ის, თუ ვინ მოიგებს მსოფლიო თასს და ვინ მიიღებს ჯილდოდ 100 ათას დოლარს — მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი თუ მისი უცვლელი მეტოქე, მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. შეგახსენებთ, VI ეტაპის წინ კასპაროვი 2,5 ქულით უსწრებდა კარპოვს. და აი, VI ეტაპის II ტურში შედგა ამ გათამაშების ცენტრალური შეხვედრა. ანატოლი კარპოვი თეთრებით დადგა გარი კასპაროვის პირისპირ. მსოფლიო ჩემპიონმა, ინიციატივის ხელში ჩაგდების მიზნით, ფიგურა შეწირა მეტოქეს. ამასთან, კარპოვი ცაიტნოტში მოხვდა, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უზუსტესი სვლებით პოზიცია გაათანაბრა და ყაიმს მიაღწია.

I და II ტურების სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: **I ტური:** შორტი — ტალი 1:0, საქსი — კარპოვი 0,5:0,5, კასპაროვი — კორჩნოი 1:0, სალოვი — ნიკოლიჩი 1:0, პორტიში — რიბლი 1:0, ნანი — სეირავანი 0,5:0,5, ელვესტი — ვაჰანიანი 1:0. გადაიდო ანდერსონ — ჰიუბნერის პარტია; **II ტური:** კორჩნოი — სალოვი 0:1, შორტი — ანდერსონი 0,5:0,5, სეირავანი — ელვესტი 0,5:0,5, რიბლი — ნანი 0,5:0,5, ნიკოლიჩი — პორტიში 1:0, ჰიუბნერი — საქსი 0,5:0,5, ტალი — ვაჰანიანი 0,5:0,5.

ამრიგად, 2 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი მხოლოდ სალოვს აქვს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კასპაროვი, შორტი და ელვესტი.

ჭადრაკის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, გაიგოს, ვინ როგორ განლაგდა სატურნირო ცხრილში. ამიტომ, ქვემოთ მოგვყავს წილისყრის შედეგები: ნაიჯელ შორტი (ინგლისი), ულფ ანდერსონი (შვეცია), დიულა საქსი (უნგრეთი), გარი კასპაროვი, ვალერი სალოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ჯონ ნანი (ინგლისი), იან ელვესტი, რაფაელ ვაჰანიანი (ორივე — სსრ კავშირი), იასერ სეირავანი (აშშ), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია), ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია), ანატოლი კარპოვი (სსრ კავშირი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), მიხეილ ტალი (სსრ კავშირი).

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 1989 წლის 33-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 12 (ტანვარჯიში), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 27 (მშვილდოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 29 (სასტენდო სროლა).

# კალათბურთის ამბები

**ბუქარესტი.** 17 წლამდე ასაკის გოგონათა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. ოქროს მედლები კი ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს ხვდათ, რომლებმაც ფინალში რუმინელი კალათბურთელები დაამარცხეს — 58:57 (26:28).

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენმა გუნდმა ესპანეთის ნაკრებს სძლია — 95:66 (42:30).

**სან-პაულუ.** ამერიკის თასი ქალთა გუნდებს შორის კუბელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მათ ბრაზილიის გუნდი დაამარცხეს — 87:84. საინტერესოა აღინიშნოს რომ ჯგუფური ტურნირის შეხვედრა ამ კოლექტივებს შორის მოიგეს ბრაზილიელებმა 27 ქულის სხვაობით.

მესამე ადგილი დაიკავა კანადამ, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში აშშ-ს გუნდი დაამარცხა — 71:63. ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის ამერიკის ნაკრების მარცხს სპეციალისტები ხსნიან იმით, რომ გუნდი მთლიანად გადახალისდა. პირველ ოთხ ადგილზე გასული კოლექტივები მონაწილეობას მიიღებენ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ივ 10460